სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 ნოემბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/192

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის N06-01/50 დადგენილების**, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანების (ცვლილება მინისტრის მოადგილის 2024 წლის 13 ნოემბრის MES 4 24 0001462659 ბრძანებით), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 14 ნოემბრის MES 6 24 0001464668 კორესპონდენციისა და ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 18 ნოემბრის №1478005 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის **„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს"** ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი (**დანართი N1**).

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი მერაბ ხალვაში

,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ''

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N 01-02/192 ბრძანების დანართი N1

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

1. წინამდებარე წესის მიზანია სახელმწიფო პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში (შემდეგში **,,სახელმწიფო სტიპენდია"**) ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ **376 სტუდენტზე, 2024 წლის 01 ოქტომბრიდან 2025 წლის 01 მარტამდე** პერიოდისათვის (სულ 5 თვის), თითოეულზე თვეში **300 ლარის ოდენობით** სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემისათვის კრიტერიუმების შემუშავება.
2. სახელმწიფო სტიპენდია ინიშნება და გაიცემა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი კორესპონდენციისა და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შემდეგ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე (თანხმდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან).
3. სახელმწიფო სტიპენდია ენიშნება ბსუ-ს იმ სტუდენტს, რომელსაც **სრულად აქვს ათვისებული წინა სემესტრში** საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები და წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს 91 ქულას და მეტს. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში **ემატება შესაბამისი ქულები:**

   ა) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული **სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში** (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა);

   ბ) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული **სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში** (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა ფასდება 2 ქულით);

   გ) **განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს** (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი, მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის

წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

4. იმ შემთხვევაში, თუ **ფაკულტეტი სრულად** ვერ აითვისებს ამ **ფაკულტეტისათვის გამოყოფილი სტიპენდიების კვოტას** (რაოდენობას), აუთვისებელი რაოდენობის ფარგლებში სტიპენდიანტობის კანდიდატად შეირჩევა სტუდენტი, რომლის წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა **ნაკლებია 91 ქულაზე** (მაგრამ არანაკლებ 71 ქულისა) **და ამასთან,** აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე კრიტერიუმს, რა შემთხვევაშიც, წინა სემესტრის შეფასებების მიხედვით მიღებულ საშუალო არითმეტიკულ ქულას **დაემატება შემდეგი ქულები:**

ა) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული **სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში** (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა);

ბ) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული **სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში** (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა ფასდება 2 ქულით);

გ) **განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს** (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი, მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

5. წინამდებარე წესის **მე-3 და მე-4 პუნქტებით** განსაზღვრულ სტიპენდიანტთა შერჩევისას, თუ ბოლო ადგილზე თანაბარი ქულა აქვს რამდენიმე სტუდენტს, უპირატესობა მიენიჭება **შემდეგ კრიტერიუმს (თანმიმდევრობას):**

ა) წინა სემესტრის შეფასების მაღალ საშუალო არითმეტიკულ ქულას;
ბ) სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელს;
გ) სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობას;
დ) სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში მონაწილეობას.

6. ბსუ-ში სახელმწიფო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსების ოდენობის გათვალისწინებით, 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე პირთა საერთო რაოდენობიდან, თითოეულ ფაკულტეტზე აქტიური სტუდენტთა რაოდენობის პროცენტული წილის შესაბამისად. აღნიშნული პროპორციის გათვალიწინებით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მონაცემებით, 2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით **2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიის მიმღები სულ 376 სტუდენტი (შემდეგში - კვოტა) შეიძლება იყოს,** მათ შორის:

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 65 სტუდენტი;
ბ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი - 49 სტუდენტი;

გ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 72 სტუდენტი;
დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 49 სტუდენტი;
ე) ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 34 სტუდენტი;
ვ) ტურიზმის ფაკულტეტი - 33 სტუდენტი;
ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 74 სტუდენტი.

5. **სახელმწიფო სტიპენდია არ დაენიშნება:**

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირს;
ბ) აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს (გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც ბსუ-ს გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის გამო, დადგენილ ვადაში ასათვისებელი აქვს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები);
გ) სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
დ) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში სრულად არ აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამით ამ სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტები.

7.. სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის **სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას სტიპენდიის გაცემა შეწყდება** და ბსუ-ს რექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ.

8. **წინამდებარე წესის აღსრულების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

8.1. ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულმა და მიმდინარე სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა, რომელთა **წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა არის 71-დან 100-ის ჩათვლით,** ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით (წერილი რექტორს) შესაბამისი ფაკულტეტის მიერ განხილვისათვის **2024 წლის 19 ნოემბრიდან 28 ნოემბრის 18:00 საათის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ** (არსებობის შემთხვევაში) შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

ა) წინა სემესტრში **სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში** მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერტიფიკატი ან ცნობა ან სხვა, ოფიციალური დოკუმენტი);
ბ) წინა სემესტრში **სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში** (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები; იმიტირებული სასამართლო პროცესი) მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერტიფიკატი ან ცნობა ან სხვა, ოფიციალური დოკუმენტი);

გ) **სოციალურად მოწყვლად ჯგუფისადმი მიკუთვნების** (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები; ობოლი (უდედმამო); მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი); სტუდენტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან) **დამადასტურებელი დოკუმენტი;**

8.2. **ფაკულტეტების დეკანებმა უნდა უზრუნველყონ** სახელმწიფო სტიპენდიის მიმღები **კანდიდატების გამოვლენა** (საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს დეკანის ბრძანება წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით სტიპენდიანტების შესარჩევად) და **არაუგვიანეს 2024 წლის 02 დეკემბრისა** - <u>სახელმწიფო სტიპენდიის მიმღები კანდიდატების შესახებ</u> <u>სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა</u>, შემდეგი ინფორმაციის მითითებით: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი; სქესი; ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა; სწავლების წელი/სემესტრი; წინა სემესტრის საშუალო არითმეტიკული ქულა (71-100 ქულის ფარგლებში); სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში მიღებული ქულა; სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში მიღებული ქულა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები); სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის კუთვნილების ქულა (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან; <u>ამ წესით გათვალისწინებული კრიტერიუმების</u> შესახებ ინფორმაცია - ქულათა ჯამი. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით.

9. ბსუ-ს სტუდენტებისათვის **სახელმწიფო სტიპენდიების** დანიშვნისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს **2024 წლის 05 დეკემბრიდან.**